

#4, აპრილი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



„ერთად დავებმართო ბავშვებს“

2004 წლიდან ზუგდიდის #3 საჯარო სკოლასთან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასები. სადაც ბავშვები მათთვის შესაბამისი პროგრამითა და მეთოდით იღებენ სწავლა-განათლებას, რომელსაც ახორციელებს კავშირი „ნერგები“. ყოველივეს მიზანია ბავშვების სოციალური ინტეგრაცია. და ასევე ხელშეწყობა, რათა ბავშვებმა

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

(გაგრძელება)

შესაძლებლობების გათვალისწინებით შეიძინონ თვითმოვლისა და დამოუკიდებლობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ბავშვები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას სკოლაში თუ არტ-გალერეაში მოწყობილ გამოფენებსა და საქველმოქმედო აქციებში. სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის



ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები არაერთხელ დაუჯილდოვებიათ სიგელებითა და დიპლომებით. არტ-გალერეაში მოეწყო ბავშვების მიერ დამზადებული სხვადასხვა ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

ინტეგრირებული კლასების მოსწავლეები შემოსული თანხით თანატოლებს დაეხმარნენ – ზუგდიდის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სასწავლო ნივთები გადასცეს საჩუქრად.



თავად ინტეგრირებული კლასების მოსწავლეებსაც არაერთი კეთილი ადამიანი, კომერციული თუ

არაკომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები დაეხმარნენ, რამაც საშუალება მისცა ბავშვებს საზაფხულო ბანაკში დაესვენათ, უპრობლემოდ გადაადგილებულიყვნენ სამარშუტო ტაქსით. ზუგდიდის კულტურის სახლის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წარმომადგენლებმა არაერთხელ გამართეს საქველმოქმედო საღამო, ბავშვებს არაერთი ლამაზი დღეები აჩუქა არასამთავრობო ორგანიზაცია „დეამ“. ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირებაში დიდი წვლილი მიუძღვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ფონდ „ცისკარს“.

მიუხედავად ამდენი სიკეთისა შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა პრობლემები კვლავ რჩება პრობლემად. კავშირი „ნერგები“, ინტეგრირებული კლასების ადმინისტრაცია პროკრედიტ ბანკთან და სახალხო ბანკთან თანამშრომლობით მართავს აქციას

„ერთად დავეხმაროთ ბავშვებს“

ორგანიზატორები მოგმართავენ თხოვნით მიიღეთ მონაწილეობა აქციაში და შეიტანეთ თქვენი წვლილი – გაიღეთ მხოლოდ ერთი ლარი ამ ბავშვების საკეთილდღეოდ.

აქციიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ბავშვებისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენას და სამედიცინო მომსახურებას.

თანხის გადარიცხვა შესაძლებელია შემდეგ რეკვიზიტებზე:

**პროკრედიტ ბანკის ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება.
კოდი: 220101929
ანგარიშის ნომერი 301700046**

კავშირი „ნერგები“

„ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და ინკლუზიური განათლების განახლების გზით“.

28 მარტს, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და ინკლუზიური განათლების განახლების გზით“.

კონფერენცია ჩატარდა საერთაშორისო სამართლებრივი ცენტრის (ჰოლანდია), ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისის“ და საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების ერთობლივი მხარდაჭერით.



ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა.

შეხვედრაზე განიხილეს ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგში საკანონმდებლო საკითხები – საქართველოს ახალი კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, მისი ამოქმედების შემდეგ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ამ თემებზე გაიმართა დისკუსია.

კანონი ორიენტირებულია პაციენტის უფლებებზე და თანამედროვე კანონია, განაცხადა პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა.

კანონის მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა ექსპერტმა ნანა ზავრადაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას საშუალება მისცა გაეანალიზებინა კანონის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. ამ თემაზე ექსპერტებს, კანონმდებლებსა და პრაქტიკოს სპეციალისტებს შორის დისკუსია გაიმართა. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების ევროპულ გამოცდილებაზე ისაუბრა მოწვეულმა ექსპერტმა.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოში ინკლუზიური განათლების პოლიტიკაზე. ასევე ევროპული პერსპექტივიდან დანახული ინკლუზიური განათლების და ადამიანის უფლებების შესახებ.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლის თათია პაჭკორიას თქმით, ყველა მოსწავლეს უფლება აქვს ისწავლოს. ინკლუზიური სწავლება 10 სამოდელო სკოლაში მიმდინარეობს, სადაც 104 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სწავლობს. გარკვეული პერიოდის შემდგომ მიღებული შედეგების გაანალიზება და მასზე დაყრდნობით სტანდარტების ჩამოყალიბება მოხდება.

ინკლუზიური სწავლების ჰოლანდიაში არსებულ მოდელზე ისაუბრა მოწვეულმა ექსპერტმა ჟაკლინ შულენჰეიმ.

აღნიშნული კონფერენცია ნაწილია იმ პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ახალი კანონის და შესაბამისი კანონმდებლობის პრაქტიკაში დანერგვას. პროექტს მხარს უჭერს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საერთაშორისო სამართლის ცენტრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აბდეჯალილ თავთაქიმ იმედი გამოთქვა, რომ პროექტი წარმატებული იქნება და იგი დიდ შედეგებს მოიტანს.

•

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ.

ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია



ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

- თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, [სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის](http://www.civilin.org/welfare) ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ


პრესის მონიტორინგი



წერილი, სხვადასხვა პროგრამების/პროექტების შესახებ გამოქვეყნდა 6, ხოლო უფლებების შესახებ 4 ინფორმაცია/პუბლიკაცია, საგანმანათლებლო/საცნობარო 2 მასალა დაიბეჭდა. კონკრეტული კი 2 ისტორია.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები.




- მზრუნველობამოკლებული
- ცერებრალური დამბლით დაავადებული
- განვითარების შეფერხების მქონე
- ინვალიდი
- უნარშეზღუდული
- ფსიქიკური პრობლემების მქონე
- შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე
- ხანდაზმული
- სმენადაქვეითებული
- მეტყველების უნარშეზღუდული
- უპატრონო ბავშვი
- უსახლკარო
- ქუჩის ბავშვი
- მიუსაფარი ბავშვი

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

მარტის თვეში გამოქვეყნდა 25 პუბლიკაცია/ინფორმაცია.



- რეზონანსი
- ახალი თაობა
- 24 საათი
- კვირის პალიტრა
- ალია
- სარკე

თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას/საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 8 პუბლიკაცია/ინფორმაცია, ორგანიზაციის საქმიანობის, მათ წინაშე არსებულ სიძნელებებს 3

საკონკურსო განაცხადი
 თვითმმართველი ქ. ფოთის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და დევენილთა სამსახური აცხადებს ტენდერს სამსახურთან არსებულ უფასო კვების სასადილოში მიმავრებული ასოცდაათი შეჭირვებული პერსონის ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
ინფორმაცია იხილეთ
 გაზეთი "24 საათი", 2 მაისი, 2008
 ან <http://www.civilin.org/welfare>